შპს თბილაბრეშუმი
TBILSILK LTD

საქართველო, 0141, თბილისი,
დ. გურამიშვილის გამზ. №64
ფაქსი: (+995 32) 2 60 38 40 დირექტორი
ტელ.: (+995 32) 2 61 84 88 ჯანცელარია
2 60 34 00 ბუღალტერია
ელ. ფოსტა: abreshumi@yahoo.com

Georgia, 0141, Tbilisi
64 D. Guramishvili Av.
Fax: (+995 32) 2 60 38 40 director
Tel.: (+995 32) 2 61 84 88 office
2 60 34 00 bookkeeping
E-mail: abreshumi@yahoo.com

№ 63-15 „18“ 11 2026 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

არქიტექტურის სამასხურში შპს თბილაბრეშუმის (ს/კ 200003174) მიერ შემოტანალი იქნა განცხადება N AR1954891 20. 03. 2023 წ. რომლის საფუძველზეც ორგანიზაციამ მიიღო სასაწყობე ფართზე მშენებლლობის ნებართვა საკ. კოდი . 01.12.01.005.626 (ახალი ს/კ 01.12.01.005.637) ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. 64. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 29.03. 2023 წლიდან 2024 წლის 29. 03-ის ჩათვლით.

ორგანიზაციაში წარმოშობილი სირთულეებისა და პრობლემების გამო ვერ მოხერხდა ზემოთ აღნიშული მშენებლობის დაწყება და საერთოდ არც დაწყებულა.

2026 წლის 23 სექტემბერს ორგანიზაციაში შემოვიდა წერილი შპს თბილსერვის ჯგუფიდან წერილის N 62-01262662924, რომელშიც მითითებულია რომ 2023 წლის 21 აპრილიდან 2026 წლის 28 აგვისტოს ჩათვლით ჩვენს ორგანიზაციას (აბ N 7400751) ერიცხება მიზნობრივი დასუფთავების მოსაკრებელი 7393 ლარი და 31 თეთრი. აღნიშნულ საკ. კოდზე 01.12.01.005.626 არანაირი მშენებლობა არ განხორციელებულა და არც განიხილება.

ასევე კიდევ ერთხელ გავამახვილებთ ყურადღებას იმ არსებით გარემობაზე რომ მშენებლობა არც დაწყებულა, შესაბამისად, რადგან მოსაკრებელი მიბმულია მშენებარე ობიექტზე და ჩვენს შემთხვევაში ობიექტის მშენებლობა არც დაწყებულა ამ მოსაკრებლის დარიცხვა არაა სწორი და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

აღნიშნულთან დაკავშირებით მივმართეთ შპს “თბილსერვისს ჯგუფს’, რომლმაც 06.11.2026 წლის წერილით მოითხოვა:

- 01.12.01.005.626 (ახალი ს/კ 01.12.01.005.637)კოდზე მდებარე მშენებლობის (ბრძანება #6391900 – 29.03.2023 წ) სამშენებლო ნებართვის ძალადაკარგულად შესახებ, და სამშენებლო ნებართვის ბათილად ცნობის გადაწყვეტილება;

გთხოვთ წარმოგვიდგინოთ არსებული დოკუმენტაცია უმოკლეს ვადაში;

დანართი: 06.11.2026 წლის წერილი

პატივიცემით
შპს თბილაბრეშუმის დირექტორი

---------- ითარ ლომაია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: 62-0126301510
თარიღი: 06/11/2026

ადრესატი: შპს თბილაბრეშუმი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 200003174
მის. ამარა.: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, გურამიშვილის გამზ., N64

შპს "თბილაბრეშუმი"-ს დირექტორს

ბატონ ოთარ ლომაიას

ბატონო ოთარ,

თქვენი 28.10.2026 წლის N19/0126301289-62 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განონი ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ პირველი მუხლის თანახმად: „ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისთვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის."

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების (15.04.2022წ. – N9-44) საფუძველზე განსაზღვრული „დანართი N2"-ის (დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული პირებისათვის და მშენებლობის ნებართვის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი) ცხრილის 30-ე - 33-ე გრაფებით განსაზღვრული მოსაკრებლის გადამხდელებისათვის, ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესით მოსაკრებლის გადახდა, მათ შორის, წარმოადგენს სამშენებლო/სანებართვო პირობას. აღიშნული დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 01 აპრილიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების (06.05.2022წ-N10-49) საფუძველზე დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისა, იურიდიული პირებისათვის და მშენებლობის ნებაროვის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დაწესდა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი და მისი ოდენობა განისაზღვრა ამავე დადგენილების დანართი 2-ის თანახმად. აღიშნული დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 01 ივნისიდან.

შპს „თბილაბრეშუმი"-ს სახელზე დასუფთავების მოსაკრებლის 32-ე პოზიციით (სრულად კომერციული გამოყენების მშენებარე ობიექტი) დარიცხვისათვის შეიქმნა აბონენტი N7400751.

ქ. თბილისი
საქმისწარმოების №
10 11. 2026

დღეის მდგომარეობით აბონენტს N7400751 (შპს „თბილაბრეშუმი“) დასუფთავების მოსაკრებელი ერიცხება 29.03.2023 წლიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციის (ბრძანება N6391900 – 29.03.2023წ.) საფუძველზე 32-ე პოზიციით (სრულად კომერციული გამოყენების მშენებარე ობიექტი) 359.79 მ^2-ზე, ყოველთვიურად 179.90 ლარის ოდენობით.

შპს თბილსერვის ჯგუფში შემოსულ 28.10.2026 წლის N 19/0126301289-62 წერილის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21.10.2026 წლის N8124284 გადაწყვეტილების საფუძველზე ან.N7400751-ზე (შპს „თბილაბრეშუმი“) დარიცხვა შეწყდა 21.10.2026 წლიდან.

მიმდინარე დავალიანება 06.11.2026 წლის მდგომარეობით შეადგენს 7689.27 ლარს.

ინფორმაციის, რომ ან.N7400751-ზე (შპს „თბილაბრეშუმი“), განხორციელდეს დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხულ თანხაში კორექტირება, უფლებამოსილმა პირმა უნდა წარმოადგინოს ბრძანება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მისამართზე: თბილისი დავით გურამიშვილის გამზირი ქ.N64 (ს/კ N01.12.01.005.626) მდებარე მშენებლობის (ბრძანება N6391900 – 29.03.2023წ.) სამშენებლო ნებართვის ძალადაკარგულობის შესახებ, ხოლო არსებული დავალიანების გასაუქმებლად, გთხოვთ წარმოადგინოთ ბრძანება N6391900 - 29.03.2023 წ.) სამშენებლო ნებართვის ბათილად ცნობის გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვაში სხვა სახის ცვლილება ვერ განხორციელდება.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის მოადგილე